საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამოხსენება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით

2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენა დაიწყო საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, 2025 წლის 1 მარტს (ბრძანების N-ბ46.46250582), რომლის მიხედვითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც განსაზღვრული იყო პრიორიტეტების შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 20245წლის ბრძანების (Nბ.46.46252263) თანახმად დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ, მიმდინარე წლის სექტემბერში განხილუილი იქნა მერიის მიერ მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც შემდგომ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებთ, წარმოდგენილი იქნა საკრებულოში 2025 წლის ბიუჯეტთან ერთად. ამ დოკუმენტით განსაზღვრული იქნა 6 პრიორიტეტი, შესაბამისი პროგრამებით და ქვეპროგრამებით.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად, საფინანსო სამსახურის მიერ მოხდა საბიუჯეტო განაცხადების და მომუშავეთა რიცხოვნობის საორგანიზაციო ზღვრული მონაცემების მიღება საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე უხლის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს მიერ 2 ოქტომბრის წერილის თანახმად ,მუნიციპალიტეტს მიეცა საპროგნოზო მაჩვენებლები.

კერძოდ:

2026 წელს პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 20% შეადგენს 2 170.000 ათას ლარს, საიდანაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2026 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0,53%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 11 501.0ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წელს ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 2 550.0 ათასი ლარი და შესაბამისად სულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის 2025 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 14 051.0 ათას ლარს. მიზნობრივი ტრანსფერი განისაზღვრა 386.8 ათასი ლარით, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 27 აგვისტოს წერილის თანახმად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს პერსონალური ასისტენტის ქვეპროგრამის განხორციელებისათვის გამოეყო მიზნობრივი ტრანსფერი196.000 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საბიუჯეტო კოდექსის, საკრებულოს რეგლამენტის თანახმად მ/წ ნოემბერში მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს წარმოუდგინა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2026 წლის პროექტი თანდართული მასალებით.

წარმოდგენილი ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 21 8939.1 ათასი ლარს.

მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლები - 14.051.0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები - 2.000 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი - 500.0 ათასი ლარი.

სპეციალური ტრანსფერი 4 891.3 ათასი ლარი

მიზნობრივი ტრანსფერი - 386.8 ათასი ლარი, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან 196.000 ათასი ლარის ოდენობით.

ნაშთი - 10 ათასი ლარი;

გადასახდელები

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა - კოდი 01.00. – 6 .441.2

მათ შორის სარეზერვო ფონდი 150.000 ლარი.

-ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - კოდი - 02.00 - 1445.8 ათასი ლარი;

-დასუფთავება და გარემოს დაცვა - კოდი - 03.00 - 2 437.3 ათასი ლარი;

-განათლება - კოდი - 04.00 - 4 3200.0 ათასი ლარი;

-კულტურა, რელიგია, ქალისა და კაცის თანასწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 05.00 - 5226.0 ათასი ლარი.

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 06,00 - 1968.8 ათასი ლარი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78 - ე მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი მიმდინარე წლის ნოემბერში გამოქვეყნდა საჯარო განხილვისთვის კანონმდებლობის შესაბამისად(ვებ.გვერდი, ფეისბუქი და გაზეთი)

საბიუჯეტო კოდექსის 78 - ე მუხლის შესაბამისად მოხდა ბიუჯეტის პროექტის განხილვა კომისიებსა და ფრაქციებში, გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას.

(შენიშვნები და წინადადებები თან ერთვის - 21 შენიშვნა, 15 გვერდი).

მერიის მიერ გათვალისწინებული იქნა შენიშვნებისა და წინადადებების უმრავლესობა (თან ერთვის 18 გვერდი) მ/წ 10 დეკემბერს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი წარედგინა საკრებულოს.

მ/წ 18 დეკემბერს ადმინისტრაციულ წარმოებაზე დადგა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე. 2025 წლის 23 დეკემბერს განხილული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და დამატებით გამოთქმული იქნა შენიშვნები, რომელიც გათვალისწინებული იქნა მერიის მიერ, საბოლოოდ ამ წარდგენილი პროექტის მიხედვით შემოსულობები განსაზღვრულია 21. 498.7 ათასი ლარით. რაც წინა წარმოდგენილ პროექტთან შედარებით შემცირებულია 330.4 ათასი ლარით. 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2026 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 3073.9 ათასი ლარით.

საკუთარი შემოსულობები განსაზღვრულია 21 498,7 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები 14 135.8 ათასი ლარი(2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 783.3 ათასი ლარით) დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი წინა ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 84.8 ათასი ლარით. (ფინანსთა სამინისტროს 01 დეკემბრის N04-03/84768) და შეადგენს 11 585.8 ათას ლარს, ქონების გადასახადი კი შეადგენს 2 550, ათას ლარს.
- მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 383.8 ათასი ლარს.
- სპეციალური ტრანსფერი 4 611.1 ათას ლარს.

წინა წარმოდგენილ პროექტში იყო 4891.33 ათასი ლარი ე.ი სპეცტრანსფერი შემცირებულია 280.23 ათასი ლარით.

სპეცტრანსფერის ეს რაოდენობა აღებულია 2025 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შესრულებიდან გამომდინარე. სიტყვიერად შეთანხმებულია ფინანსთა სამინისტროში. დღეის მდგომარეობით არ არსებობს რაიმე ნორმატიული აქტი თუ რის საფუძველზე იქნა შეტანილი ბიუჯეტში სპეციალური ტრანსფერის რაოდენობა.

-სხვა შემოსავლები წინა წარმოდგენილ პროექტში იყო 2 000 ათასი ლარი.

ბოლოს წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში შეადგენს 2 215 ათას ლარს.

რაც გამოწვეულია იმით რომ 215 ათასი ლარით გაიზარდა შემოსავლები საკუთრებიდან.

-არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები დადგენილია 150.0 ათასი ლარით.რაც წინა წარმოდგენილ პროექტთან შედარებით შემცირებულია 350 ათასი ლარით(გათვალისწინებული იქნა საკრებულოს შენიშვნა)

-2026 წლის ბიუჯეტის პროექტში ნაშთის ცვლილება შეადგენს 10 000 ლარს.

ნაშთის ცვლილების ჩათვლით 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 21 508.7 ათას ლარს.

საიდანაც საბიუჯეტო ასიგნებები განაწილდა შემდეგნაირად:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უზრუნველყოფა:

კოდი 01.00-6 403.2 ათასი ლარი, მათ შორის სარეზერვო ფონდი 150.0 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურა, მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია კოდი 02.00-1 705.0 ათასი ლარი.

მათ შორის არის სოფელ ბუკისციხეში დამთავრებული გზის ერთ მონაკვეთზე განვითარებული მეწყერული პროცესების სალიკვიდაციო სამუშაოების დაფინანსება(კოდი 02.01.02)

- დასუფთავება და გარემოს დაცვა
  კოდი 03.00- 2 107.3 ათასი ლარი.
  განათლება კოდი -04,00 – 3 970.0 ათასი ლარი.
  კულტურა რელიგია, ქალისა და კაცის თანასწორობა ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები კოდი 05.00- 5 332.6 ათასი ლარი.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა კოდი 06. 00 - 1 989.9ათასი

მათ შორის არის მერიის მიერ გაცემული დაუფინანსებელი ადმინისტრაციული დაპირებებისათვის საჭირო საბიუჯეტო ასიგნებები.

15 ნოემბერს შემოსული 2026 წლის ადგილობრივი ბიჯეტის პროექტსა (ბიუჯეტის მოცულობა 21 829.1 და დღეს შემოტანილი ბიუჯეტის პროექტის (ბიუჯეტის მოცულობა 21 .508.7 ათასი ლარი) შორის სხვაობა შეადგენს 320.4 ათას ლარს.

რაც გამოწვეულია იმით, რომ მერიის მიერ:

-გათვალისწინებული იქნა საკრებულოს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები.

-დაზუსტდა ბიუჯეტის შემოსულობები;

-მინიმუმამდე იქნა დაყვანილი საბიუჯეტო ორგანიზაციის ხარჯები

მაგალითად,

-შემცირდა შორმის ანაზღაურების ხარჯები 74.5 ათასი ლარით.

- საქონელი და მომსახურების ხარჯები შემცირდა 439.9 ათასი ლარით
- სხვა ხარჯები 10 ათასი ლარით
- 271 ათასი ლარით გაიზარდა არაფინანსური აქტივების მუხლი.
- 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში 467.9 ათასი ლარით არის გაზრდილი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფისათვის (1 984,9 ათასი ლარი) საბიუჯეტო ასიგნებები (კოდი 06,00) 2025 წლის ბიუჯეტის პირველად ვარიანტთან (დადგენილება N17 26.12.2024 -1522.0 ათასი ლარი) შედარებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მხარს უჭერს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტს და საკრებულოს მიმართავს აღნიშნული პროექტის მხარდასაჭერად.